197012

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 8 (355)

1970 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 8 (355) აგვისტო 1970 წელი

11.363

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების შესახებ
123. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ
124. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ
125. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ
126. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
127. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ
128. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზუგდიდის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ
129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თეთრი წყაროს რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

განყოფილება მეორე

130. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ
131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. დუდუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ბ. ბ[illegible]ლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. კონონოვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ა. შავიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

122 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების შესახებ

„სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 3 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

123 საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე, გამოიყენება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსს იყენებენ იმ საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1970 წლის 1 ოქტომბრიდან.

1970 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოშობილ საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ კოდექსს იყენებენ იმ უფლებებისა და მოვალეობებისადმი, რომლებიც წარმოიშვება კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, ამ ბრძანებულების მომდევნო მუხლებით დადგენილი გამონაკლისების გარდა.

3. თუ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსით გათვალისწინებული წესი ადრე დადგენილი იყო ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებით, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებულ უნდა იქნეს აღნიშნული საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ესე იგი 1968 წლის 1 ოქტომბრიდან.

4. კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული წესები მეუღლეთა შორის საერთო თანასაკუთრების გაყოფის შესახებ გამოიყენება მეუღლეთა შორის იმ ქონების მიმართ, რომელიც მათ საერთო თანასაკუთრებას შეადგენს, მათ შორის იმ ქონების მიმართაც, რომელიც შეძენილია 1970 წლის 1 ოქტომბრამდე.

5. კოდექსის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები განქორწინების შემდეგ შრომისუუნარო მეუღლის რჩენის მოვალეობის ან ამ მოვალეობის განსაზღვრული ვადით შეზღუდვის შესახებ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ განქორწინება მოხდა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე, მაგრამ შრომისუუნარო მეუღლეს, განქორწინების დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაკარგული არ ქონდა სარჩოს (ალიმენტის) მიღების უფლება.

6. კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესები ქორწინების აღდგენის შესახებ გამოიყენება გარდაცვალებულად გამოცხადებული ან უკვალოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლის გამოჩენის და მისი გარდაცვალებულად გამოცხადების ან უკვალოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმების დროის მიუხედავად.

იმ შემთხვევაში, თუ უკვალოდ დაკარგულ პირთან განქორწინება მოხდა სასამართლო წესით, წინათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ სასამართლო გააუქმებს მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით.

გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ არ შეიძლება იქნეს გაუქმებული, თუ უკვალოდ დაკარგულად ცნობილი პირის მეუღლე ხელახლა დაქორწინდა.

7. კოდექსის 43-48-ე მუხლებით გათვალისწინებული წესებით ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარგებლობენ აგრეთვე იმ საქმეების განხილვისას, რომლებიც სასამართლოს არ განუხილავს კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

8. კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული წესი სასამართლო წესით მამობის დადგენის თაობაზე, გამოიყენება იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

9. დაქორწინებულ პირთა შვილების მიმართ, რომლებიც 1968 წლის 1 ოქტომბრამდე დაიბადნენ, მამობა შეიძლება დადგენილ იქნას მშობლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე. თუ გარდაიცვალა ის პირი, რომლის კმაყოფაზე იმყოფებოდა ბავშვი და რომელიც თავს ცნობდა მის მამად, მამად ცნობის ფაქტი შეიძლება დადგენილ იქნეს სასამართლო წესით. მამობის ცნობის ფაქტის დადგენის შესახებ მშობელთა ერთობლივი განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში წარმოებს სათანადო რეგისტრაცია და მამის შესახებ შესაბამისი აღნიშვნის შეტანა ბავშვის დაბადების ჩანაწერსა და მოწმობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

10. ამ კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით მამობის დადგენის შემთხვევაში, ბავშვებს მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ აქვთ ისეთივე უფლება-მოვალეობანი, როგორც დაქორწინებულ პირთა შვილებს.

ამ შემთხვევაში, ურთიერთ უფლება-მოვალეობანი 1968 წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებულ ბავშვსა, მის მამასა და მამის ნათესავებს შორის წარმოშობილად ითვლება ბავშვის დაბადების დღიდან.

11. კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილი პირისათვის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ასეთი ჩანაწერის შესახებ, გამოითვლება 1970 წლის 1 ოქტომბრიდან. ამასთან, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა შეიძლება კანონით დადგენილი საერთო წესით.

12. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე დაბადებული ბავშვის რეგისტრაცია დედის განცხადებით, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ხორციელდება კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

13. კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილი წესები ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ არასრულწლოვანი შვილის გვარის გამოცვლის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე იმ შვილების მიმართაც, რომლებიც დაიბადნენ კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

14. ალიმენტის ოდენობის შემცირებისა და ალიმენტის გადახდისაგან განთავისუფლების წესს, რომელიც დადგენილია კოდექსის 72-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით, იყენებენ იმ შემთხვევაშიც, როცა ალიმენტს ახდევინებენ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილია 1968 წლის 1 ოქტომბრამდე.

15. კოდექსის 123-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული წესი სასამართლოს მიერ შვილად აყვანის გაუქმების შემთხვევაში მშვილებლისაგან ალიმენტის მიღების უფლების შესახებ, გამოიყენება კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

16. კოდექსის 86-ე და 90-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები შრომისუუნარო სრულწლოვანი დების, ძმების, აგრეთვე აღმზრდელის რჩენის მოვალეობათა შესახებ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული პირების შრომისუუნარობა და დახმარების საჭიროება წამოიშვა კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

124 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ", „წინასწარი პატიმრობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ" სსრ კავშირის 1969 წლის 11 ივლისის კანონების შესაბამისად, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. 88-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება ამ კოდექსის მე-10 მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1969 წლის 11 ივლისის კანონით დამტკიცებული წინასწარი პატიმრობის დებულების მოთხოვნათა დაცვით მხოლოდ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით".

2. დაწესდეს, რომ იმ პირების მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, 252[1] და 253-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, პატიმრობა, როგორც აღკვეთი ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტო დანაშაულის საშიშროების მოტივით.

ამასთან დაკავშირებით 88-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრის „209[1]" შემდეგ დაემატოს ციფრები „240 ნაწ. II და III, 252 ნაწ. I და III, 252[1] და 253".

3. დაემატოს კოდექსს 88[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„88[1]. **პატიმრობაში მყოფ პირთა წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების ვადები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმრობაში მყოფი პირები წინასწარი პატიმრობის საკანში შეიძლება მოთავსებულ იქნენ არაუმეტეს სამი დღეღამისა.

თუ პატიმრობაში მყოფ პირთა საგამოძიებო იზოლატორში [illegible] შეუძლებელია სიშორის ან სათანადო მიმოსვლის გზების უქონლობის გამო, ისინი შეიძლება წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსებულ იქნენ არაუმეტეს თხუთმეტი დღეღამისა".

4. დაწესდეს, რომ წინასწარ გამოძიებას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 227[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით 126-ე მუხლის მესამე ნაწილში ციფრები „224-227" შეიცვალოს ციფრებით „224-227[1]".

5. 304-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10) თუ პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რომელი სახეობის შრომა-გასწორების დაწესებულებაში და როგორი რეჟიმით უნდა მოიხადოს სასჯელი".

6. 317-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„8) სამართალში მიცემულის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის მოტივები".

7. 318-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტში სიტყვები „შრომა-გასწორების კოლონიის სახე, რომელშიაც" შეიცვალოს სიტყვებით „შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობა, სათანადო რეჟიმით, რომელშიც".

8. 369-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ვადამდე და".

9. 374-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მსჯავრდებულნი, რომლებიც სასჯელის მოხდის დროს დაავადდებიან ქრონიკული სულიერი ან სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის შემდგომ მოხდას, შეიძლება სასამართლოს განჩინებით გათავისუფლდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან მოთავსებულ იქნენ სამკურნალო დაწესებულებაში სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოს წარდგინებით, საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე".

10. 375-ე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

მუხლის სათაურიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ვადამდე და";

ამავე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს ორ ნაწილად, შემდეგი რედაქციით:

„სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგი-

ლობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით, ხოლო თუ პირი სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში, — სადისციპლინო ბატალიონის მეთაურის წარდგინებით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თვრამეტი წლის ასაკამდე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით";

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ვადამდე ან" და მითითება „209[1]" მუხლზე.

11. 376-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის ან სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის საკითხს იმ საფუძვლებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, გადაწყვეტს სასამართლო შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგინებით, რაც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან, ხოლო არასრულწლოვანების მიმართ — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან".

„შრომისუუნაროდ ცნობილი პირისათვის გამასწორებელი სამუშაოების ჯარიმით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით შეცვლა, აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოების თავისუფლების აღკვეთით შეცვლა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, წარმოებს სასამართლის მიერ სასჯელის ამ სახის სისრულეში მომყვანი ორგანოს წარდგინებით".

ამ მუხლის მეორე ნაწილს ციფრის „209[1]" შემდეგ დაემატოს ციფრები „240, 252 ნაწ. I და III, 252[1], 253".

12. 379-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ვადამდე".

13. 380-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები ჩამოყალიბდეს ერთ ნაწილად შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოს მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის საკითხის განხილვისას გამოიძახებენ სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოს წარმომადგენელს, აგრეთვე მოიწვევენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარმომადგენელს".

14. 25-ე მუხლის მე-5ა და მე-6 პუნქტებში, 125-ე მუხლში, 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილში და 402-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ შეიცვალოს სიტყვებით „შინაგან საქმეთა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

125 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 68-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კაპიტალური მშენებლობის სანარდო ხელშეკრულებას შემკვეთი უდებს ერთ სამშენებლო ორგანიზაციას, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით ორ ან მეტ სამშენებლო ორგანიზაციას, რომელთაც, როგორც გენერალურ მენარდეებს, უფლება აქვთ საქვენარდო ხელშეკრულებით დაავალონ სამუშაოთა ცალკეული კომპლექსების შესრულება სპეციალიზებულ ორგანიზაციებს (ამ კოდექსის 168-ე და 221-ე მუხლები)“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

126 „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონის (საქართველოს სსრ უმაღ-

ლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 36, გვ. 565) მე-2, მე-7 და მე-12 მუხლებში და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე შეიძლება გაწვეულ იქნეს რაიონის (ქალაქის) იმ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების გადაწყვეტილებით, რომელშიც ჩატარდა მისი არჩევნები“.

„**მუხლი 7.** სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხს განიხილავენ და გადაწყვეტენ ღია კენჭისყრით ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნულ ამომრჩეველთა კრებებზე. კრებები ტარდება საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

„**მუხლი 12.** სახალხო მოსამართლე გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა სათანადო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

127 მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს და სავალდებულოა უკლებლივ ყველა მიწათმოსარგებლისათვის.

2. მიწათმოსარგებლეთა მიერ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გააფრთხილებს მიწათმოსარგებლეთ და ამავე დროს დაავალებს მათ განახორციელონ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადაში.

3. თუ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი შესრულებული არ იქნა დადგენილ ვადებში და ხარისხიანად სათანადო გაფრთხილების შემდეგაც, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ან პასუხისმგებელ პირთ, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებსაც მიწის ნაკვეთები გააჩნიათ, ადმინისტრაციული წესით დაეკისრებათ ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და სხვა მიწათმოსარგებლე ორგანიზაციების ხელმძღვანელებს — 30-დან 50 მანეთამდე; კოლმეურნეობათა აგრონომებს, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სანერგე მეურნეობების მთავარ და დარგობრივ აგრონომებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა გამგეებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებს — 15--დან 30 მანეთამდე;

კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები და სხვა მოქალაქენი, რომელთაც სარგებლობაში აქვთ მიწის ნაკვეთები, ჯარიმდებიან 10-დან 20 მანეთამდე.

ის პირნი, რომლებიც იმავე წელს განმეორებით დაარღვევენ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის წესებს, — დაჯარიმდებიან ორმაგად.

4. ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დაჯარიმებას განახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები სოფლის მეურნეობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების და მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის წარდგენით, ამ ორგანოთა აგრონომების მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე.

5. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, დამხმარე და საცდელ მეურნეობებს გასხვისების ზოლებში შეუძლიათ თავიანთი ძალებითა და საშუალებებით მოსპონ მცენარეთა მავნებლები და დაავადებანი, აგრეთვე სარეველები, თუ მოსალოდნელია მათი გავრცელება აღნიშნულ მეურნეობათა ნათესებში ან სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ამ შემთხვევაში ხარჯებს მთლიანად აანაზღაურებენ გასხვისების ზოლის მიწათმოსარგებლენი. ანაზღაურება მოხდება კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

128 ზუგდიდის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ზუგდიდის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1970 წლის 20 სექტემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

129 თეთრი წყაროს რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

თეთრი წყაროს რაიონის სახალხო მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე გასვლის გამო, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს თეთრი წყაროს რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები ივირას, 1970 წლის 20 სექტემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

130 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით რიგითი ჯარისკაცი ივანე პეტრეს ძე ვიკულოვი დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1970 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 7 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 ამხ. მ. ი. დუდუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამხ. მამია იოსების ძე **დუდუჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 ამხ. ვ. გ. ურჯუმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ვანო (ივანე) გიორგის ძე **ურჯუმელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

134 ამხ. ს. მ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამზადებათა დაგეგმვის და საორგანიზაციო-სამეურნეო გეგმების სამმართველოს უფროსი ამხ. სიმონ მოსეს ძე **ჭელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 ამხ. ლ. ა. კონონოვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი, უმწიკვლო სამსახურისა და მოსახლეობის სამხედრო-პარტიული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ამხ. ლეონიდ არკადის ძე **კონონოვიჩი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 ამხ. თ. ა. შავიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. თევდორე ამბაკოს ძე **შავიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

137 ამხ. ა. ა. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ვაჭრობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსი ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **გველესიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

138 **ამხ. ვ. ვ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი ამხ. ვახტანგ ვასილის ძე **მირიანაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1970 წლის 31 აგვისტო.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1970 წლის 20 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ და აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები საგრძნობ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოების უმრავლესობა თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

არსებითად გაუმჯობესდა სესიების მომზადებისა და ჩატარების საქმე. აღმასკომები საჭირო დახმარებას უწევენ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში.

ბევრი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ეხმარება მუდმივ კომისიებს, აწყობს მათთვის სპეციალურ თათბირებს, სემინარებს. მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოსა და მისი აღმასკომის მუშაობაში.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ დაბალია ზოგიერთი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე. ცალკეული ადგილობრივი საბჭოები ღრმად არ სწავლობენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, გვერდს უვლიან სოციალისტური კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს, საჭირო ინიციატივას და მზრუნველობას არ იჩენენ სოფლების კეთილმოწყობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ საოლქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები ჯერ კიდევ ნაკლებ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მკვეთრად გააუმჯობესონ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და უმოკლეს დროში უზრუნველყონ ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია. ამ მიზნით:

ზუსტად დაიცვან სესიების მოწვევის ვადები, საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, რომლის მომზადებასა და განხილვაში ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუდმივ კომისიებს, დეპუტატებსა და აქტივს, გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების გადაწყვეტილებანი იყოს კონკრეტული და უეჭველად სრულდებოდეს.

სისტემატურად მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, გაზარდონ მოთხოვნილება მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი;

სათანადო დახმარება გაუწიონ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში, დროულად მიაწოდონ მათ საცნობარო მასალა საბჭოების მუშაობის შესახებ, ზუსტად დაიცვან კონსტიტუციის მოთხოვნა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ. აღრიცხონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებანი და მიიღონ ზომები ამ წინადადებებისა და განაწესების შესასრულებლად.

დაეხმარონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში. სისტემატურად მოისმინონ სესიებზე მუდმივი კომისიების მუშაობის ანგარიში და უზრუნველყონ გამოცდილების განზოგადება;

სწორად წარმართონ მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა და გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება; ყოველნაირად აამაღლონ მათი როლი და აქტიურად ჩააბან ისინი საბჭოების ყოველდღიურ საქმიანობაში.

პერიოდულად ჩაატარონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საინსტრუქტაჟო თათბირები და სემინარები, ფართოდ განუმარტონ მათ თავიანთი უფლება-მოვალეობანი;

რეგულარულად შეისწავლონ სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებო მომსახურების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის და სხვა საკითხები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

მეტი ყურადღება დაუთმონ მუშების, კოლმეურნეების და მოსახლეობ-ების შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეს; მიიღონ გადამჭრელი ზომები სოციალისტური კანონიერებისა და შინაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის შემთხვევათა აღსაკვეთად;

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ფართო მონაწილეობით წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მოსახლეობაში რეგულარულად ჩაატარონ ლექცია-მოხსენებანი სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ათეისტურ და სხვა აქტუალურ თემებზე; სისტემატურად მოაწყონ თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები ცალკეული კანონების განმარტებისათვის. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ფართოდ ჩააბან მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლოები და სხვ.;

საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით რეგულარულად ჩაატარონ სოფლებისა და დაბების მოსახლეობის კრებები (ყრილობები) და მოქალაქეთა განსახილველად გამოიტანონ სოფლისა და დაბის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, გააცნონ მოსახლეობას საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა მათ შესასრულებლად.

საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალა განახორციელონ ღონისძიებანი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყონ, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაჭრაში, უფრო მეტად განაზოგადონ და გაავრცელონ ზოგიერთი საბჭოს მუშაობის დადებითი გამოცდილება, პერიოდულად მოაწყონ თათბირ-სემინარები საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე, სრულყონ მათი საქმიანობის სტილი და მეთოდები, მეტი ყურადღება მიაქციონ საბჭოების მუშაკთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს დაევალა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1971 წლის 1 იანვრისათვის.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის მეხუთე და მეექვსე სესიებზე დეპუტატების მიერ შემოტანილ წინადადებათა განხილვისა და შესრულების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებას უთმობენ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების

მიერ შემოტანილ წინადადებათა აღრიცხვას, განხილვასა და შესრულებას. დეპუტატთა წინადადებების შესაბამისად რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

ამასთანავე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა განხილვისა და შესრულების საქმეში ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებას ჯერ კიდევ გააჩნია რიგი ნაკლოვანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 27 აპრილის დადგენილებით — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის შესახებ“;

უმოკლეს დროში განიხილონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებანი და დროულად გასცენ მათ პასუხი. განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ დეპუტატთა წინადადებების განხილვა-შესრულებისადმი. საჭიროების შემთხვევაში დეპუტატთა წინადადებანი განიხილონ კოლეგიის, კომიტეტის სხდომებზე;

მითითება მისცენ მათი დაქვემდებარების ადგილობრივ ორგანიზაციებს დროულად და საფუძვლიანად განიხილონ დეპუტატთა წინადადებანი და მიიღონ საჭირო ზომები მათს შესასრულებლად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიეცათ დავალება წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პერიოდულად შეამოწმონ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის მდგომარეობა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დადგენილება ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა გააძლიეროს კონტროლი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობისადმი დეპუტატების მიერ სესიებზე დაყენებულ წინადადებათა დროულად განხილვისა და გადაწყვეტისათვის. ამასთან, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის განხილვის დროს, სათანადო ანალიზის შემდეგ, გათვალისწინებულ იქნეს დეპუტატთა წინადადებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის

პირველი მოადგილის ამხ. ვ. ტრაპაიძის მოხსენება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის 1970 წლის პირველი ნახევრის შესრულების შედეგების შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით სრულდება. სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარი წლის [illegible] რულდა 105,9 პროცენტით. მათ შორის: რესპუბლიკური ბიუჯეტისა — 105,8 პროცენტით და ადგილობრივი ბიუჯეტისა — 107,5 პროცენტით.

ამასთან აღინიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის 1970 წლის პირველი ნახევრის შესრულების საქმეში არის ზოგიერთი ნაკლოვანება.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მთლიანად შესრულდა მოგების გეგმები, მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, კავშირგაბმულობის სამინისტროებმა, „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტმა და სხვებმა ვერ უზრუნველყვეს მოგების გეგმის შესრულება. ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების ნახევარი წლიური გეგმა ვერ შეასრულეს მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, „საქნავთობმომარაგების“ სამმართველომ, „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველომ და სხვ.

აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მათ ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის დავალებები, გააძვირეს პროდუქციის თვითღირებულება, დაუშვეს არამწარმოებლური ხარჯები, დანაკარგები და სხვ. რესპუბლიკის რიგ რაიონებში (აბაშის, მახარაძის, წულუკიძის და სხვ.) არ შესრულდა სანახაობითს ღონისძიებათა გადასახადის გეგმები, ხოლო ქალაქ რუსთავის, ადიგენის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ცხაკაიას რაიონების კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს საშემოსავლო გადასახადების საგეგმო დავალებანი.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციას დიდი რაოდენობით აქვს გადასახადების ნარჩენები.

ბიუჯეტის გადასახდელების ნარჩენები აქვთ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, ქალაქ ზუგდიდში, აბაშის, ახმეტის, ზესტაფონის, ცაგერის რაიონებში, ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქში.

ნაკლოვანებებია აგრეთვე გამოყოფილი სახსრების ათვისების საქმეში, ძირითადად სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხაზით (კვების მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სამინისტროები). ზოგიერთი სამინისტროს, უწყების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სუსტი კონტროლის შედეგად იყო მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასების დაგვიანებით გაცემის შემთხვევები.

განსახილველი საკითხის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: ზ. ხოლუაშვილი, მ. ყულიევი, უ. კაზარიანი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი, მშენებლობის მინისტრის მოადგილე მ. ზოდელავა, საქნავთობმომარაგების სამმართველოს უფროსი გ. კობალაძე, ზესტაფონის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები მ. სამხარაძე და შ. კობაძე, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბოკუჩავა და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დ. გელაშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის** მუდმივი **კომისიის სხდომა,** რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ზ. ჯაფარიძის** მოხსენება „ბორჯომის რაიონის **კურორტების** კეთილმოწყობა და მშენებლობის მდგომარეობა“. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბორჯომის რაიონის კურორტების კეთილმოწყობისა და მშენებლობის საქმეში უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა განხორციელდა.

1969 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ხიდები ბორჯომში, დაბა ახალდაბაში, სოფლებში რველში და ყვიბისში, დამთავრდა 200-საწოლიანი დასასვენებელი სახლის „პლატოს“ მშენებლობა, მინერალური წყლების საკაპტაჟო სამუშაოები, რეკონსტრუირებულია სანატორიუმ ლიკანის ბალნეოლოგიური განყოფილება, თბოქსელი და სხვა.

ამჟამად მიმდინარეობს 160 მეტრი სიგრძისა და 19 მეტრი სიგანის ხიდის მშენებლობა ბორჯომში. საექსპლოატაციოდ გადაეცა რაიონის საქვაბე, 1.000-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. 200 ნომრით გაიზარდა არსებული სატელეფონო სადგური ბაკურიანში.

საავტომობილო გზების სამინისტრომ ბორჯომში მოაწყო ტროტუარები, ააგო საყრდენი კედლები, განახორციელა ნაპირის გასამაგრებელი სამუშაოები, მოაწყო ავტობუსის გაჩერება და სხვ.

ამჟამად მშენებლობის პროცესშია ბორჯომის რკინიგზის ვაგზლის და 275-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა. 1950 ადგილით ფართოვდება ბაკურიანის სასტუმრო, აქვე მიმდინარეობს წყალსადენის მშენებლობა.

ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები გარკვეულ მუშაობას ეწევიან რაიონის კურორტების კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დაცვისათვის.

ამასთან აღინიშნა, რომ ბორჯომის რაიონის კურორტების კეთილმოწყობისა და მშენებლობის საქმეში არის გარკვეული ნაკლოვანებანი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს კანალიზაციის მშენებლობა ბორჯომში და ბაკურიანში. საკურორტო მშენებლობისათვის გამოყოფილ თანხებს ნელა ითვისებენ; დიდად ჩამორჩება ბაკურიანის წყალსადენისა და ტურისტული სასტუმროს მშენებლობა, ბორჯომის რაიონში დიდძალი წყლის რესურსების მიუხედავად, ქალაქში იგრძნობა სასმელი წყლის ნაკლებობა; არ სრულდება საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 აპრილის დადგენილება ბორჯომის სანიაღვრე, კანალიზაციის მშენებლობაში საავტომობილო გზების სამინისტროსა და ტრესტ „საქმინწყლების“ წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

1965 წლიდან ჭიანურდება დიდი ცემის სანატორიუმ „განთიადის“ კომპლექსის მშენებლობა, ჩამორჩენაა სანატორიუმ „მთის ხეობის“ მშენებლობის გეგმის შესრულების საქმეში.

კურორტების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთი მშენებარე ობიექტის საექსპლოატაციოდ ჩაბარების ვადების გაჭიანურება და შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი.

„ტელეფონმშენის“ თბილისის სამმართველომ დადგენილ ვადაში ვერ შეძლო ბორჯომის ტელეფონიზაციის სამუშაოების დამთავრება (მშენებლობა გასული წლის დეკემბერში უნდა დამთავრებულიყო).

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ი. ქედიშვილი, შ. ნემსაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე მ. ზოდელავა, საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე ო. შუკაკიძე, კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. ბერიძე. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ტ. წერეთელი, გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ლ. ედილაშვილი, „ტელეფონმშენის“ თბილისის სამმართველოს უფროსი კ. წერეთელი, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ჯანჯღავა, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე პ. ჩიკვილაძე, ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. კიკნაძე და სხვები.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **სოფლის მეურნეობის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის მდივნის ო. აბესაძის მოხსენება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების მოვლა-დამუშავების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ვენახის ფართობების გადიდების, მათი მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებისა და ყურძნის მოსავლიანობის გაზრდისათვის, ვენახებში დროულად და ხარისხიანად ასრულებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული საძირე ვაზის სადედეებისა და სანერგეების გაშენებისა და მოვლისათვის.

ამასთან ერთად მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ვენახების მოვლა-დამუშავების საქმეში ზოგიერთი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არის ნაკლოვანებებიც.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის კოლმეურნეობაში სათანადოდ არაა მოვლილი 2 ჰექტარი ახალშენი ვენახი. ამ რაიონის კოლმეურნეობების ვენახე-

ბის ზოგიერთ ნაკვეთში შეთესილია სიმინდი, სოია, ლობიო და სხვა სათოხნი კულტურები.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა ვენახის სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად ამ საქმეში კვლავ ნაკლოვანებებია: მაიაკოვსკის რაიონის სოფლების ფოთოლ-როხის, დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობებში და გურჯაანის რაიონის შაშიანისა და ჭანდრის კოლმეურნეობათა ვენახებში ვაზის სიმეჩხრე 20—40 პროცენტს შეადგენს, ანალოგიური მდგომარეობაა ახმეტის რაიონის ალვანის, ზემოხოდაშენისა და ახმეტის მეურნეობებში, ოჟიოს და ქისტაურის კოლმეურნეობებში.

მაიაკოვსკის რაიონში საძირე ვაზის სადედის უმეტესი ნაწილი გადაბერებულია და იძლევა მცირე მოსავალს, ამავე დროს რაიონი განიცდის საძირე მასალის დიდ ნაკლოვანებას.

ნაკლოვანებებია ვენახების რწყვის საქმეში გურჯაანის რაიონის ზოგიერთ მეურნეობაში, სადაც სარწყავი ქსელის მოუწესრიგებლობის გამო ირწყვება მხოლოდ 30 პროცენტი სარწყავი ფართობი და ისიც ხშირად დაჭაობებულია.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართობებში საჭირო რაოდენობით არ შეაქვთ მინერალური სასუქები. შარშან რაიონის ვენახებში ნაცვლად 676 ტონა აზოტოვანი სასუქისა ფაქტიურად შეტანილია მხოლოდ 40, ხოლო ფოსფორიანი სასუქები 316 ტონის ნაცვლად შეტანილია — 103,5 ტონა, კალიუმის სასუქი კი რაიონს საერთოდ არ მიუღია.

გაუმჯობესებას მოითხოვს საშპალერე რკინა-ბეტონის ბოძების ხარისხი. ნაკლოვანებებია შესაწამლი აპარატების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეში.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ: მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები შ. ეცადაშვილი, შ. ყამბარაშვილი, პ. გუნია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობის სამმართველოს უფროსი ი. ანანიაშვილი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ზ. ბიძინაშვილი, „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოზაევი, გორისა და გურჯაანის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების უფროსები ა. ქუჩუკაშვილი და ლ. ოღლიშვილი, მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ქარჩხაძე და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა შ. გრძელიშვილმა.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის თავმჯდომარის მოადგილის ლ. სანაძის მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1969 წლის 12 ივნისის დადგენილება „რესპუბლიკაში მასობრივი ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის განვითარებისათვის.

შარშან ფიზკულტურელთა რიცხვი 13.472-ით გაიზარდა და ახლა შეადგენს 1.147.645-ს, ანუ მთელი მოსახლეობის 24,3 პროცენტს.

საანგარიშო პერიოდში ფიზიკური კულტურის განვითარებასა და სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ თბილისის ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის, სამტრედიის, მახარაძის, ზუგდიდის, ვანის, ხაშურის, ორჯონიკიძის, თელავის, წყალტუბოსა და სხვა რაიონების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები. კარგადაა დაყენებული საწარმოო ტანვარჯიში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში, № 1 და № 6 სამკერვალო ფაბრიკებში, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში.

დიდი მუშაობა წარმოებს გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, რომლებშიც მონაწილეობს მოსახლეობა („გაზაფხულის“ და „დილას“ კლუბები თბილისში, „რიონის“ კლუბი ქუთაისში).

მარტო 1969 წელს ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო და სრულიად საკავშირო სპორტულ შეჯიბრებებზე მოიპოვეს 71 ოქროს, 46 ვერცხლისა და 40 ბრინჯაოს მედალი.

ამასთანავე მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ გარკვეული ნაკლოვანებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში.

ჩამორჩება ისეთ სახეობათა სპორტი, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, კრივი, ნიჩბოსნობა, ფრენბურთი, ველოსპორტი და სხვ. სპორტული საზოგადოებანი ჯეროვან აქტივობას არ იჩენენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. საკმარისად არ ეწყობა შეჯიბრებანი ნიჩბოსნობაში, ფიგურულ ციგურაობაში, კრივში, სათხილამურო და საცხენოსნო სპორტში, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს ამ სახეობათა სპორტის განვითარებაზე.

სუსტად მუშაობენ თბილისისა და ქუთაისის ფრენბურთის, ქართული ჭიდაობის, წყალში ხტომის, ალპინიზმის, ფეხბურთის, აკადემიური ნიჩბოსნობის, მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციები. სპორტის შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად აბრკოლებს სპორტული ბაზების უქონლობა. ჭიანურდება თბილისის ველოტრეკის, საცურაო აუზისა და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ჯერ კიდევ არ ეწყობა კარგად სპორტული შეჯიბრებანი და ჩამოვრჩებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში. იგრძნობა ფიზკულტურული კადრების ნაკლებობა რაიონების ბევრ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით სოფლად (ბორჯომის, მესტიის, ცხაკაიასა და სხვა რაიონებში). ცხინვალის, ბოლნისის, ბორჯომის, დმანისის, ხობის რაიონების კოლ-

შეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები, რადიო და ტელევიზია საკმაოდ ცოტა ამუქებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები, დეპუტატები ჯეროვნად არ ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

კამათში გამოვიდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები დ. ოსელიანი, შ. შარტავა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი ვ. სამსონაძე, ცეკავშირის განყოფილების გამგე გ. გოგიშვილი და სხვები.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ ბ. გელბახიანმა.

* * *

განხილულ საკითხებზე კომისიებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 3 და 20 აგვისტოს ბრძანებულებებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 753 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. გორიდან		6
ქ. ზუგდიდიდან		10
ქ. რუსთავიდან		2
ქ. თბილისიდან		65
ქ. ტყიბულიდან		21
ასპინძის	რაიონიდან	17
ახალქალაქის	„	21
ბოგდანოვკის	„	16
ბოლნისის	„	85
ბორჯომის	„	8
გარდაბნის	„	59
გეგეჭკორის	„	14
გორის	„	11
გურჯაანის	„	1
დმანისის	„	115
დუშეთის	„	23

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის	რაიონიდან	5
ზესტაფონის	„	18
ზუგდიდის	„	33
თეთრიწყაროს	„	18
თელავის	„	17
თერჯოლის	„	20
მაიაკოვსკის	„	6
მარნეულის	„	31
მცხეთის	„	6
საგარეჯოს	„	28
სამტრედიის	„	8
საჩხერის	„	4
სიღნაღის	„	6
ყვარლის	„	17
ცაგერის	„	10
ცხაკაიას	„	4
ჩოხატაურის	„	3
ჩხოროწყუს	„	16
წალკის	„	16
წულუკიძის	„	6
ხობის	„	7

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 3 და 20 აგვისტოს ბრძანებულებებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

აჭარის ასსრ რესპუბლიკაში — ბათუმის რაიონის ცენტრი გადატანილია ქალაქ ბათუმიდან დაბა ხელვაჩაურში და ბათუმის რაიონი გადარქმეულია ხელვაჩაურის რაიონად.

დუშეთის რაიონში — ბაზალეთის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი წითელსოფელი, რომელიც ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ჭოპორტის სასოფლო საბჭოს.